სსრ კავშირის ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
გამარჯვება დნეპროპეტროვსკში

გუშინ დნეპროპტროვსკის `მეტეორის" სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი "დნეპრი" და თბილისის "დინამო". 90 წუთის მანძილზე ტერიტორიული უპირატესობა სტუმრების მხარეზე იყო. შესვენებამდე თბილისელებს გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი გამოიყენეს _ 39-ე წუთზე ანგარიში ჩელებაძემ გახსნა.

შესვენების შემდეგ კვლავ თბილისელები უტევდნენ. თამაშის 84-ე წუთზე კოსტავა-ყიფიანის კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დაგვირგვინდა.

გაიმარჯვა "დინამომ" - 2:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაბელია, კოსტავა, კანტელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ჩივაძე), გუცაევი (გ. მაჩაიძე), ყიფიანი, ჩელებაძე.

დუბლიორები _ 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

"ლელო" 7 ნოემბერი, 1977